ფაროსანას მონიტორინგის სისტემების დამონტაჟება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებზეც მიმდინარეობს

გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში, ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის გარე პერიმეტრზე, აზიური ფაროსანას მონიტორინგის სისტემები დამონტაჟდა. საქართველოს მასშტაბით, ტყისპირა პერიმეტრებზე „მოიზიდე და გაანადგურე“ ტექნოლოგიის სადგურები განლაგდა, რაც უზრუნველყოფს ტყის მასივებიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მავნებლის გავრცელების შემცირებას.

მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ გურიის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლები.

მერაბ ჭანუყვაძე - „სახელმწიფო მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებებს კვლავ აქტიურად აგრძელებს. კერძოდ, ტყის გარე პერიმეტრზე მიმდინარეობს აზიური ფაროსანას მონიტორინგის სისტემების დამონტაჟება. გურიაში, ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის გარე პერიმეტრზე, ჯამში 15 ათასამდე ფერომონი დამონტაჟდა. ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობს სიმინდის საყანე ფართობების შეწამვლაც. ფაროსანასთან ბრძოლის წინააღმდეგ აღნიშნული სამუშაოები ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება“.

ღონისძიებების კოორდინირებულად და ეფექტიანად ჩატარებისთვის დასავლეთ საქართველოში, აბაშის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მავნებელთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბი, სადაც შექმნილია მონაცემების ელექტრონული ბაზა, მონიტორინგის შედეგები აისახება ინტერაქტიული რუკაზე და ანალიზის შედეგად, მუნიციპალიტეტების მიხედვით, იგეგმება ღონისძიებები. სახელმწიფოს მიერ მობილიზებულია 150 ერთეული მაღალი გამავლობის სპეციალიზებული ტექნიკა, რაც გასულ წელთან შედარებით გაათმაგებულია.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 29 (10274) 23 ივლისი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

დაბა ნასაკირალში გზის რეაბილიტაცია სრულდება

ნასაკირალი - მელექედურის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა სრულდება.

მიმდინარეობს სამუშაოების მეორე, დამამთავრებელი ეტაპი.

გზის რეაბილიტაცია გასულ წელს დაიწყო.

პროექტით გათვალისწინებულია სანიაღვრე არხებისა და წყალამრიდების მოწყობა.

მიმდინარე სამუშაოები ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ, მერის მოადგილემ - ოსიკო თოთიბაძემ, ნასაკირალის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბესო ქათამაძემ და ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა - თემურ გიორგაძემ დაათვალიერეს.

გზის სიგრძე 3 485 გრძივ მეტრს შეადგენს.

სამშენებლო სამუშაოებს შპს „პალადა“ ახორციელებს.

ქაქუთის დასახლებაში რკინა-ბეტონის საფარი მოეწყობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთში, ქაქუთის დასახლებაში 150 მეტრიანი რთული საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, სადაც რკინა-ბეტონის საფარი მოეწყობა. აღნიშნული სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან თემურ გიორგაძესთან ერთად დაათვალიერა.

ათწუთიან დაგვიანებას მოყოლებული 15-20-წუთიანი სკანდალი

„ჩვენ დავბრძანდებით, მაგრამ თქვენ მალე აბრძანდებით მაგ სკამიდან“

თემურ მარშანიშვილი

როგორც ჩანს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტაციამ საკრებულოს სხდომაზე დაგვიანებით გამოცხადება „წესად“ აქცია. ეს „წესი“ არც 18 ივლისის სხდომისთვის დარღვეულა. „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატთა ათწუთიან დაგვიანებას, სხდომის ამდენივე დროით დაგვიანებით დაწყება და დღის წესრიგის გამოცხადებისთანავე, დაახლოებით 15-20-წუთიანი სკანდალი მოჰყვა. სკანდალის მოთავე კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ოზურგეთელი „ნაციონალების“ ყველაზე ხმაურიანი ლიდერი დავით მჟავანაძე გახლდათ.

როგორც მჟავანაძემ თქვა, ერთი თვე გავიდა მათი ფრაქციის წევრ ბესო ქათამაძეზე თავდასხმიდან, საკრებულოს თავმჯდომარეს კი, რომელიც აშკარად გაურბის პასუხისმგებლობას, ერთი განცხადებაც არ გაუკეთებია:

„ბესო ქათამაძეზე თავდასხმის შემდეგ ერთი თვე გავიდა, საკრებულოს თავმჯდომარეს კი ერთი განცხადებაც არ გაუკეთებია. ჩვენ გვქონდა მოლოდინი, რომ დღეს მოგვეცემოდა საშუალება შეეფასებინათ, ასე ვთქვათ, თავდასხმა ჩვენო ფრაქციის წევრზე, მაგრამ ვხედავთ, რომ ბატონი თავს არიდებს და გაურბის პასუხისმგებლობას...“

„ნაციონალების“ ლიდერმა არად ჩაგდო საკრებულოს თავმჯომარის მოადგილის გიორგი ღურჯუმელიძის წინადადება, დაეცვათ წესი, ჯერ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები დაემთავრებინათ და განცხადებები შემდეგ გაეკეთებინათ:

„ჯერ ჩვენ დავაფიქსირებთ და ამის შემდეგ გადავწყვეტთ როგორ მოვიქცეთ... საკრებულოს თავმჯდომარე საერთოდ არ მოვიდა ამ საკრებულოს სხდომაზე და მე ვფიქრობ, რომ ზუსტად ამის გამო არ მოვიდა, მას არ უნდა პასუხისმგებლობის აღება. მე მაინტერესებს, იმ პროცესებზე რაც განხორციელდა ამ შენობაში, ამ ოთახებში, თავდასხმა ბესო ქათამაძეზე, იღებს თუ არა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თქვენი პარტია, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, იღებთ თუ არა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თქვენ. გვახსოვს, ურცხვად რომ განაცხადეთ, თითქოს თქვენი პროვოკატორები ჩვენი, „ნაციონალური მოძრაობის ჩანერგილები“ ყოფილიყვნენ... ადამიანები, რომლებმაც ეს მოიმოქმედეს, აქ სხედან, აი, მაგალითად, დავით ჭაკნელიძე, რომელმაც ზურგიდან მისვლით ჩაარტყა ბესო ქათამაძეს. თუ შეიძლება, გაგვეცით პასუხი, იღებთ თუ არა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას?..“

ღურჯუმელიძემ გამომსვლელს სიმშვიდისკენ მოუწოდა და დარბაზს გააცნო სხდომაზე

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 2 აგვისტოს

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო ბრძანებების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა
„მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

მე-5 გლობალური სამიტის მონაწილეთა პატივსაცემად მიღება გაიმართა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ღია მმართველობის პარტნიორობის (**OGP**) მე-5 გლობალური სამიტის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ მიღებას უმასპინძლა.

სამიტის მონაწილეა ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. სამიტის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ მიღებას, გურიის მხარის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძე, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია და საკრებულოს აპარატის უფროსი ნანა თავდუმაძე ესწრებოდნენ.

დავით დარჩია სამიტის ფარგლებში დაგეგმილ სხვა ღონისძიებებშიც მიიღებს მონაწილეობას.

ოზურგეთის საკრებულომ 2016-2017 წლის ღია მმართველობა პარტნიორობის სამოქმედო გეგმით დაკისრებული ვალდებულებები წარმატებით შეასრულა, გამჭვირვალობისა და საჯაროობის მიმართულებით საკრებულოში განხორციელებული პროექტები სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც კარგ მაგალითად იქცა. საკრებულოს 2018-2019 წლებისთვის ახალი ვალდებულებები განესაზღვრა, რომლის შესრულება საკრებულომ ელექტრონული პეტიციის დანერგვით უკვე დაიწყო.

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ რიგით მეხუთე სამიტი 19 ივლისამდე გრძელდება. სამიტში „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრი 75 ქვეყნიდან 2000 სტუმარი ღებულობს მონაწილეობას.

მუნიციპალიტეტმა მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი შეისყიდა

ოზურგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებს შეხვდა. მერის ინფორმაციით მერიამ უკვე შეისყიდა მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი და უახლოეს მომავალში შესასრულებელ სამუშაოებზე ტენდერს გამოაცხადებს.

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი სავალალო მდგომარეობაშია. განადგურებულია ინტერიერი, ჩამოშლილია ჭერი, აყრილია იატაკი, მძიმე მდგომარეობაა მუზეუმის ფონდსაცავში, სადაც ათასობით არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპონატს, უძველეს მხატვრულ ტილოებს ნესტი ანადგურებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა მუზეუმის ეზოც დათვალიერა. როგორც მუზეუმის თანამშრომლები ამბობენ, საცავები გარედან მიწის მასითაა დაფარული, რაც ექსპონატებს დამატებით საფრთხეს უქმნის. ოზურგეთის მერმა მათ პირობა მისცა, რომ აღნიშნულ პრობლემას მუნიციპალური ტექნიკა მოაგვარებს.

სად ჩატარდა ჯიპ-ტური?

ალიონი. გასულ სამშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსა ინფორმაცია, რომელიც იუწყებოდა, რომ კურორტ გომისმთაზე „ჯიპ-ტური“ გაიმართებოდა, რომელშიც საქართველოს ოფროუდის ფედერაციისა და 10-მდე უცხო ქვეყნის ექსტრემალები მიიღებდნენ მონაწილეობას.

როგორც ამ ბოლო დროს წესად დამკვიდრდა, ადგილობრივი ჟურნალისტები ღონისძიებაზე არ მიუწვევიან. მედია პრესსამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას უნდა დალოდებოდა.

18 ივლისს, საღამოს მერიის პრესსამსახურმა ოფიციალურ ვებ-გვერდზე შემდეგი ინფორმაცია დადო:

„დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კურორტ გომისმთაში ექსტრემალური შეჯიბრი **off road** –ი გაიმართა.

„ჯიპ-ტურში“ საქართველოს ოფროუდის ფედერაციის რეგიონალურ წარმომადგენლობასთან ერთად უცხოელი ექსტრემალები მონაწილეობდნენ.

ღონისძიებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ოსიკო თოთიბაძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, ალეკო მამეშვილი კურორტ გომისმთის დამსვენებლებთან და უცხოელ ტურისტებთან ერთად დაესწრნენ.

ჯიპ-ტურის "დასრულების შემდგომ, ა(ა).ი.პ მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებასთან“ არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ვახტანგურმა“ კონცერტი გამართა.

პროექტის მიზანია აჭარა- გურიის რეგიონებში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და კურორტ გომის მთის პოპულარიზაცია.

ღონისძიება საქართველოს ოფროუდის ფედერაციის ორგანიზებითა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.“

როგორც სოციალურ ქსელში ჟურნალისტმა ნატო გოგელიამ გაავრცელა ინფორმაცია, „ჯიპ-ტურის“ ორგანიზატორი არა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, არამედ შუახევის მუნიციპალიტეტის მერია იყო

–შენ მაინც ახსნა იქნებ რა ხდება? ხალხი რატომ აიყვანეს გომისმთაზე არარსებულ ფესტივალზე? რატომ გაწია მუნიციპალიტეტმა ხარჯი ღონისძიებაში, რომელიც გომისმთაზე კი არა, აჭარაში მიმდინარეობს? – წერდა ნატო გოგელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს მარინა ჯაფარიძეს.

„ერთ-ერთ უცხოელ მონაწილეს 4 000 კილომეტრი გზის გავლის შემდეგ ჯანმრთელობის პრობლემა შექმნია და მონაწილეთა ნაწილმა ვერ მოახერხა გომის მთაზე ასვლა, ნაწილი ავიდა დაგვიანებით, ტური დაგეგმილი იყო აჭარიდან და ხვალაც გაგრძელდება მარშუტით „ჭვანა-ხაბელაშვილები-გომისმთა-ჭინჭაოს ტბა."– წერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ეკატერინე მგელაძე.

ოზურგეთს ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 456 281.26 ლარი აქვს

როგორ გადანაწილდა აღნიშნული თანხა, რა მიმართულებებზე იხარჯება ყველაზე მეტი? ამის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს ვკითხეთ.

2018 წლის 19 აპრილის 840 საქართველოს მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 456 281.26 ლარი, 2016-2017 წლის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავების შეძენისა და სამუშაოებისათვის, ასევე დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო მასალების შეძენისა და ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის-ამის შესახებ ინფორმაცია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, თემურ გიორგაძემ მოგვაწოდა.

გიორგაძის ინფორმაციით, ერთდროულად რამდენიმე სოფელში, მიმდინარეობს გზების რეაბილიტაცია.

თემურ გიორგაძე: ამ ეტაპზე მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ვაკიჯვარი-ფამფალეთის, ბოხვაურის-შემოქმედის, შემოქმედის ცენტრი-გორისფერდის, ნასაკირალი-მელექედურის დამაკავშირებელი გზის, ასევე სილაურის ცენტრიდან ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას მიმართულებით და ჭანიეთის ცენტრის გავლით ქაქუთის დასაწყისამდე გზის რეაბილიტაცია.

როგორც მან გვითხრა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 2018 წელს ბეტონის გზების სამუშაოებზე ტენდერი არ გამოუცხადებია. მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი იქნა 300 მარკიანი მზა ბეტონი, რომელშიც გაიმარჯვა შპს „კავკაზ ცემენტ ჯორჯიაშ“ და ასევე შეძენილი იქნა მავთულ ბადე, სადაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯეო მეტალი“ გახდა. აღნიშნული მასალები მიეწოდა დაბა ნარუჯას, შრომას (ეკალდიდი), კონჭკათს, ნასაკირალს და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით მოხდა რკინა-ბეტონის გზების მოწყობა.

როგორც გვითხრეს, ბიუჯეტში გარკვეული თანხაა გათვალისწინებული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ. სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების აღსადგენად დამატებით მოხდა ბეტონისა და მავთულ ბადის შეძენა. 2017-2018 წლის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების განსახორციელებლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 1 700 000 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხიდან მოხდა სოფელ კონჭკათში სუსკურის უბანში ჩამოშლილი გზის აღდგენა, მოეწყო გაბიონი და ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადაგზავნილია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე ნებართვის მისაღებად (ელექტრონული ტენდერის გამოსაცხადებლად).

სტიქიის შედეგად დაზარალებული 45 ოჯახისათვის მოხდება საშენებლო მასალის გადაცემა, ხოლო სახლის გადახურვის სამუშაოებით დახმარება 8 ოჯახს გაეწევა.

2016-2017 წლების სტიქიის შედეგად დასარიგებელი სახურავების საშენებლო საქონლის მიწოდების ელექტრონულ ტენდერში შპს „ოთომბს“-მა გაიმარჯვა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი ბაღი შეემატება. დაბა ნასაკირალში მეორე საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს, ამ ეტაპზე ხდება საძირკვლის მოწყობა. ბაღის მშენებლობა 2017 წლის აგვისტოში დაიწყო და 2018 წლის დეკემბრამდე უნდა დასრულდეს. პროექტის ღირებულება 458 413 ლარს შეადგენს. საბავშვო ბაღი 75 აღსაზრდელს მიიღებს. დღემდე ნასაკირალელებს საკუთარ სოფელში ბაღის არარსებობის გამო ბავშვები მეზობელი სოფლების ბაღებში დაჰყავთ.

ათწუთიან დაგვიანებას მოყოლებული 15-20-წუთიანი სკანდალი

„ჩვენ დავბრძანდებით, მაგრამ თქვენ მალე აბრძანდებით მაგ სკამიდან“

საკრებულოს თავმჯდომარის დაუსწრებლობის მიზეზი:

„ბატონო დავით, დაბრძანდით თუ შეიძლება. როგორც ჩანს, არ იცით ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 17-19 ივლისს თბილისი მასპინძლობს „ღია მმართველობა – პარტნიორობის“ (OGP) V გლობალურ სამიტს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, როგორც OGP -ის ერთ-ერთი მონაწილე და ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტი, მონაწილეობს ამ სამიტში და შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარეც იქ გახლავთ. ამ მიზეზის გამო ვერ ესწრება ის საკრებულოს დღევანდელ სხდომას. მოგვეცით მუშაობის საშუალება და განცხადებები დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ გააკეთეთ“.

ამ მომენტიდან კამათში დაზარალებული ბესო ქათამაძეც ჩაერთო, რომელმაც ინციდენტის დღეებში ღურჯუმელიძის საქციელს სამარცხვინო უწოდა:

„პასუხისმგებლობას არ იღებთ და განცხადებასაც ვერ აკეთებთ. არაფერს არ ვუშლით ჩვენ საკრებულოს ხელს. ადამიანი, აგერ ბატონი ჭაკნელიძე რომ ზის, მოგეპარება სამარცხვინოდ ზურგიდან, ჩაგარტყამს, მერე გარბის პოლიციაში და ადამიანს ადებს ხელს, რომ დამნაშავე ის არის, დაიჭირეთო, როგორ უნდა ივიდე ასეთ ადამიანებთან?! წესრიგს ვერ იცავთ თქვენ, ბატონო გიორგი და თქვენი საქციელი, ჩვენ რომ ვშიშობლობდით, იმ დღეებში, იყო სამარცხვინო“.

ქათამაძის დაწყებული ლანძღვა საკრებულოს თავმჯდომარის დაუსწრებლობის მიზეზი:

„ბატონო დავით, დაბრძანდით თუ შეიძლება. როგორც ჩანს, არ იცით ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 17-19 ივლისს თბილისი მასპინძლობს „ღია მმართველობა – პარტნიორობის“ (OGP) V გლობალურ სამიტს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, როგორც OGP -ის ერთ-ერთი მონაწილე და ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტი, მონაწილეობს ამ სამიტში და შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარეც იქ გახლავთ. ამ მიზეზის გამო ვერ ესწრება ის საკრებულოს დღევანდელ სხდომას. მოგვეცით მუშაობის საშუალება და განცხადებები დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ გააკეთეთ“.

უფროობით ხარისხში აიყვანა დავით მჟავანაძემ:

„ელემენტალური პასუხისმგებლობის გრძნობა და განცდა არ გაგაჩნიათ... კეთილი უნდა ინებოთ და პასუხისმგებლობა აიღოთ, მაგრამ პასუხისმგებლობა რომ აიღოთ, პირველ რიგში, პასუხისმგებლობის განცდა უნდა გაგაჩნდეთ, და როცა არ გაქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა, იქნებით ისეთი, როგორიც ხართ. ეს არის სიმართლე“.

დავით მჟავანაძემ თავისი ხმამაღალი გამოსვლებით „დარბაზის სივრცეში“ ჩაკარგა ღურჯუმელიძის რამდენიმე „დაბრძანდი“:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ და მოადგილემ გააკეთონ განცხადება, იღებენ თუ არა პასუხისმგებლობას – ან ჰო, ან არა. გამბედაობა არ გყოფნით, რომ შეაფასოთ პროცესები, იმიტომ, რომ ძალიან კარგად იცით, თქვენი თანამგუნდელები მოძალადე დამნაშავეები არიან... აიღეთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა. თქვენ მე ვერ მიკარნახებთ, დაბრძანდები, ავდგები, თუ რას ვიზამ. იმედია, არ გააკეთებთ კიდევ ერთ სამარცხვინო განცხადებას, რომ ესენიც „ნაციონალური მოძრაობიდან“ გადმონერგილები არიან. მერე, რა რომ ბატონი კილაძე, ჩვენი ხელისუფლების დროს პროკურორი იყო... ვერ აფასებთ მოვლენებს. აქ მოხდა ანგარიშსწორება, ადამიანზე თავდასხმა, ამას ყველაფერს თქვენ გაუკეთეთ იგნორი, დაბრძანდის მეტი ამდენი ხანია თქვენგან არაფერი გამგონია. იმიტომ, რომ სალაპარაკო არ გაქვთ, ვერაფერს ვერ იტყვით, ვერც მორალურად და ვერც ადამიანურად“...

აყალ-მაყალის დასასრულს ღურჯუმელიძეს სკამისა და თანამდებობის დაკარგვა უწინასწარმეტყველა ბესო ქათამაძემ:

„ჩვენ დავბრძანდებით, მაგრამ თქვენ მალე აბრძანდებით მაგ სკამიდან, თქვენ, ბატონო გიორგი! ჩვენ დავბრძანდებით, მაგრამ თქვენ დატოვებთ მაგ თანამდებობას ძალიან მალე! მოძალადეები კიდევ წაახალისეთ, რა უნდა ვილაპარაკო თქვენთან?!“

ამის შემდეგ, „ნაციონალების“ დეპუტატიამ ისე დატოვა დარბაზი, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ეროდი გორდელაძის განცხადებისთვისაც არ დაუგდია ყური, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თორნიკე გოგუაძე გადადგა ფრაქციის თავმჯდომარეობიდან და ამ თანამდებობაზე ფრაქციის წევრებმა აირჩიეს დავით მჟავანაძე.

სხდომაზე განცხადება გააკეთა ოზურგეთის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე გელა ჩავლეშვილმა:

„ფრაზა „იმდენი შეგვიძლია, რამდენიც ვიცით“ კარგად ასახავს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის ბოლოდროინდელ პროვოკაციულ ქმედებებს. მან პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის ერთადერთ გზად დესტრუქციული მეთოდები აირჩია.

დაგეგმილ ცილისმწამებლურ, ღირსების შემლახავ კამპანიას და საჯარო სივრცეში მიყენებულ სიტყვიერ შეურაცხყოფას მოჰყვა ინციდენტი, რომელიც, სამწუხაროდ, ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვემიჯნებით ყოველგვარ ძალადობას და მაღალი პოლიტიკური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ჩვენი ხელწერა იქნება მხოლოდ კანონისმიერი პასუხი ყველა პროვოკაციაზე. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიულიი საქართველო“ ყოველთვის იდგა და დღესაც დგას პოლიტიკური პლურალიზმის სადარაჯოზე.

შეუძლებელია აიძულო ადამიანი, თავის შესაძლებლობაზე მეტი გააკეთოს, თუმცა, მოვუწოდებთ დაპირისპირების ინსპირატორს, უარი თქვას პოლიტიკურ პროცესებში პროვოკაციული და ძალადობრივი ელემენტების შემოტანაზე“...

შეგახსენებთ, რომ საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატებსა და ბესო ქათამაძეს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა 15 ივნისს, რა დროსაც ბესო ქათამაძემ თავის ტრავმა მიიღო და გონი დაკარგა. საქმეზე პირველი სასამართლო სხდომა შედგა 17 ივნისს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში. მოსამართლე მარინა კიკნაძემ ფრაქცია, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს გელა არაშიძეს, რომელმაც თავი ნაწილობრივ დამნაშავედ ცნო, 5-ათასლარიანი ჯარიმა შეუფარდა. მორიგი სასამართლო სხდომა ჩანიშნულია 14 აგვისტოსთვის.

ბიუჯეტის გაძლიერება თუ კერძო ბიზნესის ინტერესები?

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული საკითხის პარკირების საფასურის გაზრდის შესახებ საკრებულოს დეპუტატების ერთი ნაწილის მწვავე რეაქცია მოჰყვა.

მერიის მიერ შემუშავებულ საკმაოდ სქელტანიან დოკუმენტის პროექტი პარკირების რეგულირებს ისახავს მიზნად და გარკვეულწილად თანხების გადახდა უფრო გამჭირვალე ხდება. პროექტი ითვალისწინებს პარკირების საფასურის გადახდას: პარკირების ტალონის შეძენით; სწრაფი გადახდის აპარატის გამოყენებით; პარკომატის საშუალებით; საბანკო ტრანზაქციით; ელექტრონული გადახდის სხვა საშუალებებით.

დეპუტატების შეკითხვები გამოიწვია დანართ №2-ში მოცემულ პარკირების ზონისა და დროის მიხედვით საფასურის გადახდის წესმა: „წითელ ზონის საზღვრებში დღის (08-19 სთ.) განმავლობაში პარკირების ღირებულება 1 საათში-1 ლარი იქნება; „ “ ზონაში –0,5 ლარი; ხოლო „ჩ“ ზონაში დაწესდება პარკირების უფასო რეჟიმი.მერიის მიერ შემოტანილ პროექტის გარშემო თავისი შენიშვნები დააფიქსირა ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისთვის“ თავმჯდომარე შოთა გოგიბერიძემ.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე მარიკა ჩხიკვიშვილმა, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯაიამ გამოთქვეს აზრი, რომ პარკირების ეს მოდელი კიდევ უფრო დაზარალებს მოსახლეობას და გადასახადების მთელი სიმძიმე მათ დააწვებათ კისერზე, რადგან ის კერძო ტაქსები, რომლებიც ამ ეტაპზე ბაზრის წინ დგომისათვის 30 თეთრს იხდიან, პარკირების გადასახადის გაზრდისთანავე გაზრდიან მგზავრთა გადაყვანის საფასურს.

სოფელ მელექედურის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლევან კილაძემ მერიის წარმომადგენელს ალეკო ბერიძეს დაუსვა კითხვა: –ეს გადასახადი მიმართულია პარკირების მოწესრიგებისკენ თუ ბიუჯეტის გაძლიერებისაკენ?

ბერიძის პასუხი იყო –პარკირების მოწესრიგებისკენ. მისი ეს პასუხი განპირობებული იყო იმით, პარკირების უკან კერძო ბიზნესი დგას და ამით სახელმწიფოს ხეირი მიზერულია.

– რა ხდება, რა მგლური კაპიტალიზმია, ვერ გავიგეარის სხვა მუნიციპალიტეტებში მსგავსი პრაქტიკა?– განაცხადა სოფელ ასკანის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლევან ნინიძემ.

ალეკო ბერიძემ მსგავსი პრეცედენტი ვერ დაასახელა.

პარკირების საფასურის გაზრდის მომხრეა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ეროდი გორდელაძე, სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა. მათი ასეთი პოზიცია განპირობებულია პარკირების მოწესრიგების სურვილით.

გაზეთ „ალიონთან“ პარკირების გადასახადის ზრდასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დაფიქსირა იურისტმა ირაკლი პაპავამ:

–გაუმართლებელი ნაბიჯია. არ წარმოუდგენიათ, რა სარგებელი აქვს პარკირებისაგან ბიუჯეტს.

საბოლოოდ საკითხი საჯარო ადმინისტრაციულ განხილვაზე დადგა და საზოგადოებს აქვს დრო თავიანთი აზრი გამოხატონ, რამდენად გამართლებულია პარკირების გადასახადის გაზრდა.

სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის განკუთვნილი საავტომობილო გზები ქალაქ ოზურგეთში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 ივლისის სხდომაზე მიიღეს განკარგულება „ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის განკუთვნილი საავტომობილო გზების სიის დამტკიცებისა და საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების დაგეგმარების შესახებ“.

ამ განკარგულების მიხედვით, ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე სატრანსპორტო პრაქტიკული მართვის სწავლებას (სასწავლო სვლა) დაეთმობა შემდეგი ქუჩები: ბესიკის, აღმაშენებლის, ბაქრაძის, რუსთაველის, გურამიშვილის, გამსახურდიას, ჯავახიშვილის, ფარნავაზ მეფის, დოლიძის, ჭავჭავაძის, კეჭაყმაძის, 26 მაისის, გაბრიელ ეპისკოპოსის, ბათუმის, ანდღულაძის, ლესელიძის, ერისთავის, 9 აპრილის, პეტრიწის, სახოკიას, ნიკოლაძის, ჟღენტის, სანაპიროს, ჟორჟოლიანის, ნინოშვილის, მოსკოვის, გრიშაშვილის, თავისუფლების, ჭანტურიას, რამიშვილის, გურიის, თაყაიშვილის, ნაკაშიძის.

მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდისათვის მომზადებულ სამ სამარშრუტო ტრასაზე დაყენდება 49 სახის სხვადასხვა ნიშანი, მათ შორის ექვსი ცალი რკინიგზის უშლაგბაუმი გადასავლელი, ორი ცალი ერთლიანდაგიანი გადასავლელი, ოთხი ცალი შუქნიშნით რეგულირება, 198 ცალი ქვეითთა გადასავლელი და ა. შ.

სოფელი ოზურგეთი - პრიორიტეტები და პრობლემები

მარი კოძოევი

„აქ გაუვალი ტყე ყოფილა. ჩვენი სოფელი დაარსდა 1885 წელს. თავდაპირველად 15 რუსული ოჯახი დასახლებულა“, - გვიყვება სოფელ ოზურგეთის რწმუნებული ბადრი თავდუმაძე..ამჟამად სოფელში 608 კომლი ცხოვრობს, საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული.

როგორც რწმუნებული გვეუბნება, „ოზურგეთში ბევრი რამ გაკეთდა“ და ჩამოთვლას იწყებს: რამდენიმე უბანში მოეწყო სანიაღვრე არხები და მილხიდები, შეიღობა სასაფლაო დაახლოებით 800 მეტრი სიგრძის ღობით. სოფლის თითქმის 90%-ში მოეწყო გარე განათება. ამისთვის 320 ნათურა დაგვჭირდა. დარჩა მხოლოდ რამდენიმე უბანი, სადაც საჭიროა განათებების ჩამატება. მალე მოეწყობა განათება სასაფლაოზეც. დავდგით 30 ნაგვის ურნა. შემოიღობა სკოლის ეზო, დაიდგა 135 მეტრი ღობე. „ენერგოპრო ჯორჯია“ შევაწუხეთ, გამოვცვალეთ ყველა ქვესადგური და მაღალი ძაბვის სისტემა. მალე, ალბათ, კულტურის სახლის რეაბილიტაციაც დაიწყება. პროექტი უკვე მზადაა.

ბადრი თავდუმაძე: ჩვენ სოფელში ბევრი კარგი რამე გაკეთდა, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბავშვთა ბაღი. ეს იყო მოსახლეობის ყველაზე დიდი სურვილი. სამუშაოები შპს „ვიგორამ“ შეასრულა. პროექტის ღირებულება 380 000 ლარი იყო. ბაღი ექსპლოატაციაში 2017 წლის ზამთარში შევიდა. 56 ბავშვია ჩვენს ბაღში. ამ ეტაპზე ორი ჯგუფია, მაგრამ შენობა სამ ჯგუფზეა გათვლილი.

—როგორც ვიცით, ბაღში პრობლემებია, უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოზეა საუბარი.

—კი, არის რაღაც პრობლემები. გათბობა არ მუშაობს გამართულად. საკმარისად ვერ თბება შენობა. ამასთან კოსმეტიკური მხარეც შეილახა, ნაჩქარევი გაკეთებულია. ჭირდება ხელმეორედ შეღებვა.

— ამ ეტაპზე რა არის თქვენთვის ნომერ პირველი პრიორიტეტი, რა პრობლების მოგვარება სურს, პირველ რიგში, მოსახლეობას?

—შეიძლება ითქვას, ხალხის ოცნებაა წყალი. სოფელ ოზურგეთის არც ერთ უბანს არ აქვს წყალი. არის მხოლოდ არტეზიული ჭები. გვინდა, რომ გაკეთდეს პროექტი, რომლისთვისაც გვჭირდება თანხები და შესაბამისად მერიის დახმარება. გვაქვს ძალიან კარგი ადგილი, სადაც შეიძლება მოეწყოს წყლის სისტემა, მაგალითად, მდინარე ნატანებზე. ასევე სადაც ადრე იყო სათავე ნაგებობა ბაილეთის საზღვართან, სამანდარინესთან. ადრე იქ იყო აუზი.

— რა მდგომარეობაშია შიდა გზები, ხომ არ იგეგმება გზების მოწყობა?

— სოფლის შიდა გზები არის სულ 23 კილომეტრი. აქედან მოასფალტებულია დაახლოებით 30 %. შარშანწინ მოეწყო გურიანთასთან დამაკავშირებელი გზა 700 მ. ცენტრალური გზები, მაგალითად, ბაილეთთან და ნატანებთან დამაკავშირებელი, სრულადაა მოასფალტებული.

—როგორც ვიცით, ტაძრის მშენებლობა დაიწყეთ, რა ეტაპზეა პროცესი?

— დიახ, ვაშენებთ წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს. ეს იქნება ბაზილიკა12,5 - 6 მეტრზე. ამ სოფელში არასდროს ყოფილა ეკლესია.

—დაეხმარა თუ არა ადგილობრივი ხელისუფლება სტიქიისგან დაზარალებულ ოჯახებს?

—ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახმარება გაეწია 2017 ლის 23 აპრილის სტიქიისგან დაზარალებულ 30 ოჯახს. აქედან 26 ოჯახს საჭირო მასალა გადაეცა. 4 სოციალურად დაუცველ ოჯახს ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავად გადაუხურა სახლები.

—საყანე ფართობები დაითესა?

— 2 წელია საყანე ფართობების ერთი გოჯიც არ დაგვიტოვებია დაუთესავი. ასე ვთქვათ, ვიშუამდგომლე ტექნიკის მეპატრონეებთან. დაგვითესეს ფართობები და თანხას ეტაპობრივად გადავიხდით. ასევე შემოიღობა საყანე ფართობები, მაგრამ კიდევ დარჩა რაღაც ნაწილი შესაღობი.

— ვიცით, რომ სურსათის უვნებლობის სამსახური ატარებს ფაროსანას საწი ნააღმდეგო წამლობას. თავად მოსახლეობა რამდენად აქტიურია, წამლავენ საკუთარ ფართობებს?

— უკვე მესამე ეტაპის წამლობა მიმდინარეობს. ჩვენ გვაქვს 6 აპარატი, რომელიც სურსათის უვნებლობამ გადმოგვცა. ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია ისარგებლოს. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა შეწამლა საკუთარი საკარმიდამოები. ეს იმას ნიშნავს, რომ უკეთესი მოსავალი ექნება თხილს.

- თხილის კარგი მოსავალი მართლაც რომ მნიშვნელოვანია ოზურგეთელებისთვის. როცა სოფელში პრობლემების ადგილზე გასაცნობად გავედით, თვალში სიღარიბე და სოციალურად დაუცველი ადამიანების სიმრავლე მოგვხვდა.

ბადრი თავდუმაძე: „ჩვენს სოფელში 26 ოჯახი იღებს სოციალურ დახმარებას. არიან ისეთებიც, რომლებსაც ჰქონდათ დახმარება და მოეხსნათ, არადა, მათთვის ეს თანხა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“

ერთ-ერთ ასეთ ოჯახში რწმუნებულთან ერთად მივედით. **მარიამ მეგრელიშვილის** 2-სულიან ოჯახს 130 000 სარეიტინგო ქულა მიენიჭა. დედა-შვილი საცხოვრებლად თითქმის უვარგის სახლში ყველანაირი შემოსავლის გარეშე ცხოვრობს. ის ერთი სული საქონელიც აღარ ჰყავთ, რომლის გამოც მათი ვარაუდით დახმარება ვერ მიიღეს. 80 წლის დიასახლისს უფასო სასადილოდან მიჰქონდა სახლში საჭმელი. ახლა სიარულიც აღარ შეუძლია. დედა-შვილი ამბობს, რომ საქართველოსმ პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძე შეწუხებულა მათი მდგომარეობით და დახმარებია. ახლა შესაბამის სამსახურში ერთჯერადი 100-ლარიანი დახმარების თხოვნით შეიტანეს განცხადება, მაგრამ ეს მცირედიც იგვიანებს. 55 წლის ვლადიმერ მეგრე ლიშვილი უმუშევარია.

—უმუშევარი სოფელ ოზურგეთში კიდევ ბევრია:

—„უდიდესი პრობლემაა უმუშევრობა. მუშაობს სამი თხილის საწარმო, სადაც ადგილობრივები არიან დასაქმებული, მაგრამ სეზონურად. ეს სოფელი მცირემიწიანია. სოფლის მეურნეობით გლეხი თავს ვერ ირჩენს, ამიტომ აუცილებელია გაკეთდეს წარმოებები. ადრე აქ იყო წისქვილკომბინატი, სადაც ამ სოფლიდან 180 ადამიანი მუშაობდა.“ გვეუბნება თავდუმაძე და ჩვენთან საუბარს პოზიტიურ ნოტზე ასრულებს „მოსახლეობა დადებითადაა განწყობილი ხელისუფლების მიმართ, მგონი ჩემს მიმართაც.“

დასუფთავებისთვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქცია დამტკიცდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 ივლისის სხდომაზე დაამტკიცეს მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქცია.

ინსტრუქციის მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია თვეში 0,40 ლარით.

ერთ სულ მოსახლეზე „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 0-დან 150 001-მდე ქულის მქონე პირებისათვის მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 0,20 ლარს თვეში. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 4 სულით.

დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის მოსაკრებლის განსაზღვრული რაოდენობის სრული ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე.

მოსაკრებელი არ დაერიცხება საწარმოო ობიექტებისა და ორგანიზაციების შენობა-ნაგებობების ფართს ან მათ ნაწილს, ღია ტერიტორიების ფართს ან მათ ნაწილს, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ ფუნქციონირებს, გამოუყენებელია და არ წარმოიქმნება ნარჩენი. ასევე არ დაერიცხება მოსაკრებელი ინფრასტრუქტურის ფართზე (დამხმარე სამეურნეო ნაგებობა, ავტოსადგომი, შიდა ბიბლიოთეკა, საქვაბე, სამრეცხაო შიდა მომსახურებისათვის, სასადილო, სკვერი, საკონფერენციო დარბაზი). სპეციალიზებულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს გრაფიკით, აღსაზრდელთა და მოსწავლეთა რაოდენობა იანგარიშება საერთო სიის მიხედვით, ხოლო სტუდენტებზე კი სტატუსის (აქტიური) გათვალისწინებით.

მოსაკრებელი მთლიანად ჩაირიცხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მოსაკრებლის დარიცხვა მოხდება კალენდარული თვის ბოლო დღის მდგომარეობით, გადახდის ვადა — მომდევნო თვის 20 რიცხვის ჩათვლით

სათათბირო ორგანოს - საბჭოს პირველი შეხვედრა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების შემსწავლელი სათათბირო ორგანოს-საბჭოს პირველი შეხვედრა გაიმართა, სადაც დებულების შედგენისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით იმსჯელეს.

აღნიშნული საბჭო შშმ პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის, აუცილებელი პირობების შექმნის საკითხების შესწავლისათვის შეიქმნა.

საბჭოს თავმჯდომარეა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე.**

შეხვედრას მერის მოადგილე ირაკლი სირაძე დაესწრო, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, ასევე საბჭოს წევრები-ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვისა და კომუნიკაციის სამსახურის უფროსი გიორგი ინწკირველი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი გია მამაკაიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი მარინა ჯაფარიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯაია, საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“-ს არაკომერციული ჰუმანიტარული ორგანიზაციის თავმჯდომარე რომან ლომაძე და საბჭოს სხვა წევრები დაესწრნენ.

„სუხიშვილების“ მოცეკვავის გურული სტარტი

„ქართული ცეკვა – ქართველი კაცის არსებობის წესი, მისი სუნთქვა და მენტალიტეტის გამოვლენაა.“

მარი კოძოევი

თუ რამით შეგვიძლია ქართველებმა ვიამაყოთ, ეს ქართული ხალხური ცეკვებია. საამაყო მოცეკვავეებიც ბლომად გვყავს. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენმა ქალაქმაც შეიტანა არცთუ მცირე წვლილი ქართულ ქორეოგრაფიაში. ოზურგეთში აღზრდილი მოცეკვავეები ხშირად გვინახავს დიდ სცენებზე.

დღეს ერთ მოცეკვავეზე, ლაშა ხურციძეზე მოგიყვებით, რომელმაც ცეკვის შესწავლა 11 წლისამ, გურიის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მეგობრობაში“ დაიწყო.

„მოცეკვავის ცხოვრება ძალიან საინტერესოა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდ ფიზიკურ შრომას მოითხოვს, შენი პროფესიის სიყვარული გაკეთებინებს შენს საქმეს. ყველა მოცეკვავისთვის, მაყურებლის ოვაცია და ტაში არის ძალიან დიდი სიამოვნება, რომლისთვისაც მოცეკვავე შრომობს და ვარჯიშობს ყოველდღიურად მინიმუმ ექვსი საათი“, - გვეუბნება ლაშა.

ლაშა ხურციძე წარმატებული მსახიობ-მოცეკვავე, ქორეოგრაფია. ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში, გურიის სახელმწიფო ანსამბლში შეუდგა ქორეოგრაფობას. პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციულ და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯშიც.

ლაშა ხურციძე: „11 წლის ვიყავი გურიის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მეგობრობაში“ რომ მივედი. 17 წლის ასაკიდან ვიყავი ქორეოგრაფი გურიის სახელმწიფო ანსამბლში. 20 წლის ასაკში ჩავბარე ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, თბილისში. შემდეგ ისევ დავბრუნდი ოზურგეთში ქორეოგრაფიული საქმიანობის გამო“.

22 წლის უკვე ქართულ ნაციონალურ ბალეტ „სუხიშვილებში“ მსახიობ-მოცეკვავე გახდა.

„სუხიშვილები“ - ეს ყველა მოცეკვავის ოცნებაა. თუკი ცეკვა შენი პროფესიაა და „სუხიშვილებში“ ცეკვავ, ეს უმაღლესი მწვერვალია“, - ამბობს ლაშა.

განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ამ „მწვერვალისკენ" მიმავალ გზაზე ხელი გურულებისთვის საყვარელმა ქორეოგრაფმა, ჯუმბერ დუნდუამ შეაშველა:

„ბატონმა ჯუმბერ დუნდუამ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ჩემს ქორეოგრაფიულ წინსვლაში. ის დამეხმარა ჩემი ოცნების რეალობად ქცევაში. გურიის სახელმწიფო ანსამბლში ჩაეყარა საფუძველი ჩემშ ქორეოგრაფიულ კარიერას“.

ანსამბლ „გურიას“ დღევანდელი ხელმძღვანელი, ჯუმბერ დუნდუას შვილი კობა დუნდუა, „გურიაში“ ლაშა ხურციძის სწავლის და პედაგოგობის პერიოდს იხსენებს:

„ლაშა მამაჩემის აღზრდილია. გამორჩეული იყო საშემსრულებლო ტექნიკით და საცეკვაო ოსტატობით. არაერთ ცეკვაში ქონდა თავისი სოლო, „ცდო“, „მხედრული“, „შეჯიბრი“ „ხევსურული“, „ჯუთა“ და სხვა. არაჩვეულებრივი პიროვნებაა, გამოირჩევა საქმისადმი სიყვარულით, პიროვნებებისადმი ერთგულებით. ჩვენთან ყოფნის დროს გამოაჩინა შესაძლებლობები, შრომისუნარიანობა, განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭი“.

ალბად, არ არის მარტივი იყო მოცეკვავე, ქორეოგრაფი თან, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნავენ, წარმატებული. მიუხედავად ამისა, ჩვენი რესპოდენტი მიიჩნევს, რომ პროფესიის არჩევისას სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ცეკვამ ჩამოაყალიბა როგორც პროფესიონალი, პიროვნება.

„ავირჩევდი თუ არა პროფესიად ისევ ცეკვას? დიახ, რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ განვლილი წლების განმავლობაში ქორეოგრაფიამ, კონკრეტულად ქართულმა ტრადიციულმა ცეკვებმა ჩემს პიროვნულად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა. არსებობს ღირებულებები, რომელთა გარეშე ერის, ხალხის, მისი ხასიათის წარმოდგენა არათუ ძნელი, არამედ წარმოუდგენელიცაა. სწორედ ასეთი მოვლენაა ქართული საცეკვაო ხელოვნება. ქართული ცეკვა - ქართველი კაცის არსებობის წესი, მისი სუნთქვა და მენტალიტეტის გამოვლენაა“, -ამბობს ჩვენი რესპოდენტი.

ამ თაობასაც დაივიწყებენ....



გაზეთ „ალიონის“ ფურცლებზე განსაკუთრებით მიზიდავს ჩვენი მხარისა და ქალაქის ისტორია, ნაკლებად ცნობილი თუ უცნობი პიროვნებების ბიოგრაფიები.

გაზეთის 25 ივნისის ნომერში, ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მთავარი მცველის მანანა ლომაძის საინტერესო სტატია დაიბეჭდა „მუსიკალური სკოლა“, ჩემთვის ბევრი უცნობი ინფორმაცია გავიგე იადვიგა (ადა) ვალერის ასულ შეფერზე, რამაც მე ბავშვობის გახსენების სურვილი აღმიძრა, რადგან ცხოვრების ადრეული ეტაპი ამ სკოლასთან იყო დაკავშირებული.

მუსიკალური სკოლა მაშინ ამჟამინდელი ჭავჭავაძისა და იოსებ კეჭაყმაძის ქუჩის კვეთაზე იდგა. ხის ფიცრული შენობას თლილი ქვის ბოძები ჰქონდა.

ამ სკოლაში დედამ 1955 წელს მიმიყვანა.მიგვიწვიეს დირექტორის კაბინეტში, რომელიც ვიწრო ოთახს წარმოადგენდა სკოლაში მიმდინარე რემონტის გამო. კუთხეში წიგნებით სავსე კარადა იდგა, ნოტები ფანჯრის რაფაზე ელაგა. დირექტორის მაგიდის უკან დიდ, შემინულ ჩარჩოში სტალინის პორტრეტი ეკიდა.

საწერ მაგიდასთან იჯდა საოცრად მომხიბვლელი ქალბატონი, მუქი ფერის კაბით და გიშრის მძივებით.

დედამ გააცნო ჩვენი მისვლის მიზეზი. ქალბატონი მეტყველებდა გამართული რუსულით, მაგრამ რაღაც უჩვეულო პრონონსით.

სანამ განცხადება იწერებოდა, ივსებოდა ანკეტა, ქალბატონმა გაიხსენა, როგორ ჩამოვიდა საფრანგეთიდან გურიაში, როგორ დაარსა საკუთარ სახლში მუსიკალური სკოლა, როგორ დადიოდა კარდაკარ და თხოვდა მეზობლის ბავშვებს, მუსიკალურ სკოლაში ესწავლათ.

ამ საუბრის დროს კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი, ლამაზი, მომღიმარი თვალებით. მე და დედა გავიწიეთ და გზა დავუთმეთ. თავდაპირველად პედაგოგი გვეგონა, მაგრამ ქალბატონმა დირექტორმა გაგვაცნო თავისი მეუღლე ბატონი მიხეილ თაყაიშვილი.

პირადი საქმისათვის მიგვატანინეს ჩემი დაბადების მოწმობა და სურათი.შემდეგ ამ მოწმობის არსებობა დაგვავიწყდა და როცა მამასთან გერმანიაში წავედი (მამა-გიორგი ჯინორია სამხედრო ექიმი იყო და იქ მსახურობდა), ახალი ავიღე. 60-იან წლებში არდაგებებზე ჩამოსულს, სახლში დამხვდა ძველი მოწმობა, რომელიც კეთილ ადამიანს უნახავს მუსიკალური სკოლის არქივში და სახლში მოგვიტანა.

როგორც ვთქვით, მუსიკალური სკოლა მდებარეობდა ამჟამინდელი ჭავჭავაძისა და კეჭაყმაძის ქუჩის კვეთაზე. იქ, ახლა სადაც ცარიელი ადგილია, იყო დიდი ხის შენობა, 4-5 საფეხურიანი ქვის კიბით, რომლითაც შევდიოდით შუშაბანდიან მოსაცდელში. იქვე იდგა ხის სკამები და იქედან შევდიოდით გაკვეთილზე. პირდაპირ იყო საკანცელარიო, ხელმარცხნივ გადიოდა დერეფანი, დერეფნის გასწვრივ მდებარეობდა საკლასო ოთახები. დერეფანი გადიოდა გაზეთ „ალიონში“ გამოქვეყნებულ სურათზე ნაჩვენებ უკანა კიბეზე. ქუჩას გადმოჰყურებდა საკონცერტო დარბაზი, დაბალი სცენით და ჭერამდე ფანჯრებით.

კედელზე ცნობილი კომპოზიტორების პორტრეტები ეკიდა, ხოლო სცენაზე იდგა ფეხებმოჩუქურთმებული შავი როიალი. ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა როიალის ტაფაზე ამოტვიფრული საიმპერატორო გერბი, რაც იმ დროს იშვიათობა იყო.

რადგან მე რუსულენოვანი ვიყავი, ჩამაბარეს ქალბატონ ანა კვიატოვსკაიას. შემდეგ იყო ნინო მარი, კარინა მასწავლებელი, რომლებიც ბათუმიდან და თბილისიდან დადიოდნენ. კარინა მასწავლებელი ერევნიდან იყო. მან ჩამოიტანა ოზურგეთში 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული ამბები.

მუსიკალური სკოლა მაშინაც განიცდიდა მამაკაცი პედაგოგების ნაკლებობას. მამაკაცი პედაგოგებიდან გამოვყოფდი ვასო ქუთათელაძეს, რომელსაც სკოლაში მუდამ შემოჰქონდა გამოცოცხლება, პირდაპირ კიბეებიდან იწყებდა მხიარული ამბების მოყოლას. 60-იანი წლების დასაწყისში სკოლაში სომეხი ეროვნების პავლიკი (გვარი არ მახსოვს) ქ. ბათუმიდან, მასწავლებლობდა. იგი ვიოლინოს ასწავლიდა. ვიოლინოს ჯგუფიდან დამამახსოვრდა ძმები, რეზო და დიმა შავიშვილები.

გვ-6

ამ თაობასაც დაივიწყებენ....

ადა შეფერი

ისინი ძალიან კარგი ბიჭები იყვნენ.

გერმანიიდან დაბრუნებულს დირექტორად შალვა ლორთქიფანიძე დამხვდა, რომელიც მალე სოფო პეტრიაშვილმა შეცვალა.

მუსიკალური სკოლის პედაგოგები ძალასა და ცოდნას არ იშურებდნენ ჩვენთვის. დედმამიშვილივით, ან უფროსი დებივით დაგვტრიალებდნენ თავს. მართალია ჩემგან მუსიკოსი არ გამოვიდა, მაგრამ მათი წყალობით ვეზიარე დიდ ხელოვნებას, გავერკვიე დიდ მუსიკაში და ჩამომიყალიბდა შესაბამისი გემოვნება.

მე თავდაპირველად სოფელ მერიიდან დავდიოდი მუსიკალურ სკოლაში. მუსიკის გაკვეთილები დამთავრდებოდა თუ არა მიმეჩქარებოდა სოფელში. ძირითადად მიწევდა ამჟამინდელ ჭავჭავაძის ქუჩით მოძრაობა. ქუჩის გაგრძელებაზე იდგა შუშაბანდიანი სახლი, რომლის აბრაზე ეწერა „კულტურის სახლი.“ შემდეგ ეზოს სიღრმეში იდგა ცნობილი ექიმის, კლიმენტი ასათიანის სახლი; შემდეგ მოდიოდა ეთერ გობრონიძე-ნინიძის სახლი. 50-იანი წლების მეორე ნახევარში ეთერ გობრონიძის სახლი გადაიტანეს და ქუჩა გაიყვანეს ამჟამინდელი არქივის შემდეგ მდებარე ოთხსართულიანი საცხოვრებელი ბინის მიდამოებში.

მდინარე სკუჩა ღია კალაპოტში მიედინებოდა და მის ნაპირებზე სახლები იყო განლაგებული. 60-იან წლების დასაწყისში მდინარე დახურეს და მოსახლეობა ძველი სახლებიდან კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ბინებში გადაიყვანეს.

ქუჩის ორთავე მხარეს რკინა-ბეტონის რიკულებიანი ღობე მიყვებოდა და რკინიგზის სადგურთან რკალს ჰკრავდა. რკინიგზის სადგურსა და სამშობიარო სახლს შორის ავტოსადგური იყო, საიდანაც სოფელში ვბრუნდებოდი. შემდეგ წლებში ავტოსადგური ამჟამინდელი სამამულო ომის ობელისკის უკან, მოედანზე გადაიტანეს. შემდეგ რკინიგზის სადგურთან აიღეს ღობე და ფილიპე მახარაძის ბრინჯაოში ჩამოსხმული ძეგლი დადგეს. ახლა იმ ადგილას საათი დგას.

პ.ს. გურია ცნობილია ნიჭიერი, მუსიკალური ადამიანებით, ფოკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლებით, მაგრამ სანამ იადვიგა შეფერი ოზურგეთში ჩამოვიდოდა, მანამდე გურიაში მუსიკალური სკოლა არ იყო. უცხოტომელმა ადამიანმა მთელი ნიჭი, ცოდნა, ენერგია, სიცოცხლე დაახარჯა ამ საქმეს.

ჩვენ დამსახურებულად ვამაყობთ გამოჩენილი ადამიანებით, მაგრამ იმავდროულად გვავიწყდება მათი აღმზრდელები. მართალია ოზურგეთის მეცნიერებისა და განათლების პროფკავშირმა დაარსა მისი სახელობის პრემია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ხომ შეიძლებოდა ერთ-ერთ მუსი კალურ სასწავლებელს მისი სახელი მინიჭებოდა, ან ახლანდელი მუსიკალური სკოლის შენობაში მემორიალური დაფა გაიკრას სათანადო წარწერით.

ქალბატონო იადვიგა ამჟამინდელ მეგობრობის ქუჩაზე ცხოვრობდა. შეიძლება ამ ქუჩას მიენიჭოს მისი სახელი.

ასეთი ადამიანების ცხოვრება საუკეთესო მაგალითია ახალგაზრდობის ეროვნულ-კულტურული ღირებულებების აღზრდისათვის.

გვახსოვდეს, თუ არ მივაგებთ სათანადო პატივს წინა თაობებს, ამ თაობასაც დაივიწყებენ ისე, როგორც ჩვენ დავივიწყეთ წინა თაობა.

რევაზ ჯინორია,
მასწავლებელი

განცხადებები
იყიდება

კურორტ ბახმაროში, პრესტიჟულ ადგილას(გურიის ქუჩა) 100 კვ. მეტრი საავარაკო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით დაგვიკავშირდით: 593 91 31 31

ქირავდება

ქალაქის ცენტრში ქირავდება 51 კვ. მ. კომერციული ფართი (აქვს სველი წერტილი). ფასი შეთანხმებით. მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №6 დაგვიკავშირდით: 555 23 82 43

თანაგრძნობა

ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის 1972 წლის მე-10 ბ კლასის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის, აწ გარდაცვლილ ვაჟა ქურდიანის ძმის **გელა ქურდიანის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სკანვორდი



											ერთ-ერთი ამორძალი					
							მამაკაცის სახელი		ბედი			ნაბიჯი ცეკვაში				
														მუშათა ზედამხედველი მონასტერში	ლიტერატურული პრემია	
									ტატიანა მოფერებით	პიკასოს სახელი						ლორმუცელა
							ღუშაყი									
							ქართული ზღაპრის გმირი									
							სიდიდით მე-3 კუნძული									
							სასჯელის სახეობა	ილეთი ჭიდაობაში		ჩაის სახეობა		საპორტო ქალაქი საფრანგეთში	გიგანტური ყინული	დაღესტნელი დიდებული	აივანი	
მოსკოვის დინამოს ყოფილი მეკარე	პოლონური საფეხბურთო კლუბი			მდინარე ინდოეთში		მაგნიტური რკინაქვა										ძვირფასი თვალი
									ბოსტნეული		კომში					
						ვიეტნამის დედაქალაქი			ნაჭრის ჩანთა							მუხნარი
				საქართველოს ძველი დედაქალაქი												
			დანაშაულთან დაკავშირებული ჯარიმა							რაზეც საათს იბნევენ	საწოლის ატრიბუტი	ბოსტნეული მცენარე			ერთ-ერთი ცოდვა	

№ 28-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — პიერ ოგიუსტ რენუარი; ნაცია — ერი; ჩიკორი — ტანაჯორი; სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში — ლესა; ტელეწამყვან აქუბარდიას „კლიჩკა“ — აქუ; ბალზაკის სახელი — ონორე; ბათუმის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი — ბალაძე; ერთგვარი ოთხკუთხედი — რომბი; იუდას ხე — არღავანი; ვ. დოლიძის ოპერა — „ქეთო და კოტე“... ფიშერი — ბობი; ვირისა და ცხენის ნაჯვარი — ჯორი; „ნატვრის ხის“ რეჟისორი — აბულაძე; უძველესი ქალაქი იმერეთში — ვანი; პატარა ბავშვი — ბაია; ანდერძის წიგნი — დიათიკა; მიზეზი — საბაბი; ქალაქი რაჭაში — ონი; დიდი ბაყაყი — გომბეშო; მარცვლეული კულტურა — სიმინდი; დროებითი მიწათმფლობელობა — საკარგავი; კავშირი — და; შემახილი ხარის გასაძღნად — აში; მეტყველების ორგანო — ენა; ბატისკაფის გამომგონებელი — პიკარი; ერთი წლის ცხვარი — აზმანი; ქართული ცეკვა — სამაია; არსობის პროდუქტი — პური; რძის ნაწარმი — დო; ჯარი - არმია; ღობის შემადგენელი ნაწილი — სარი; შავთავა (ჩიტი) — ასპუჯაჯა; ცნობილი ფიზიკოსი ქალი — კიური; ევროპისა და აზიის გამყოფი ქედი — ურალი; ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი — ლი; ანბანის მე-16 ასო — ჟ; სოფლის გზა — შარა; ებრაელი — ურია; კურკოვანი ხილი — გარგარი; ქართველი მოქანდაკე — ამაშუკელი; ... მიქავა — უტუ; ქამარი — ღუშაყი.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

მამია V გურიელის ასკოკიანი ქვევრი

დღეს ხშირად გაგონებთ: საქართველო ღვინის სამშობლოა, რომლის მოყვანა და დაწურვა 8000 წელს ითვლის, იმასაც ამბობენ, ღვინის შენახვა საპატიო მოვალეობაოღვინის \ შესანახ მრავალ ჭურჭელს ასახელებენ.მათ შორის ქვევრი ძირითადია,რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დღემდე გავრცელებულ ღვინის დასაყენებელ და შესანახი თიხის უნიკალური ჭურჭელია. ქვევრი - კვერცხისებური ფორმის, კონუსური ძირის მქონე თიხის ჭურჭელია ვიწრო ყელითა და დისკოსებური თავით. გამოიყენება ღვინის დასაყენებლად ან მარცვლეულის შესანახად. მას მიწაში ფლავენ და ჰერმეტულად ხურავენ. საქართველოში ქვევრისებური ჭურჭელი ადრეული ბრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი. ქვევრი მრავლად არის გამოყენებული ანტიკური ხანის ნამოსახლარებსა და სამაროვნზე. ქართლში ხრამის დიდ გორაზე ამოჩენილი ქვევრი უნიკალურია,მისი ასაკი მიჩნეულია ნეოლითური ხანის (ახალი ქვის ხანა ძვ.წ. მე-7-6 ათასწლეულები) ჭურჭლად, რომლის ხნოვანება რვა ათასი წელია. პირველი მასზე დატანილი ყურძნის მტევნის გამოსახულება მიანიშნებს ჭურჭლის საღვინე დანიშნულებაზე, საღვინე ჭურჭლის მსატვრული დამუშავება ათასწლეულებს ითვლის. ძვირფასი სიმბოლოთი - ყურძნის მტევნით შემკობა მიგვანიშნებს იმას, რომ იგი ოსტატს თავიდან საღვინე ჭურჭლად შეუქმნია. მეორე ჭურჭლის სინჯში აღმოჩენილია კულტურული ვაზის ყვავილის მტვრის მარცვლები და ღვინის მჟავე ნაშთები, რომელიც მის ასაკს ადასტურებს.

2013 წელს,შვეიცარიაში,ქალაქ ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისის ეზოში ქართული ქვევრი განთავსდა,როგორც იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეყვანილი ძეგლი და როგორც საქართველოს კულტურული იდენტობის და უძველესი ტრადიციის მაჩვენებელი.

გურიაში ღვინის მოყვანის და შენახვის დიდი ტრადიციებია,მარტო ყურძნის 64 ჯიში არსებობდა,მათ შორის საუკეთესო იშვიათი ჯიშები. ახლა ამ ჯიშების მოძიება და მოშენება დაიწყეს გურულებმა ასოციაცია „გურული ვაზის“ ხელმძღვანელის ანდრო ვაშალომიძის ხელმძღვანელობით, რომელიც 18-20 წელია ეძებს საუკეთესო გურული ვაზის ჯიშებს. შესაბამისად გურიაში ღვინის შესანახი ჭურები (ქვევრები) მრავლად ჰქონდათ განლაგებული მარანში,გურიაში მარანი ორი სახის იყო - ღია და დახურული.

ცნობილია გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V მარანი ასკოკიანი ქვევრით.

გურიელის ასკოკიანი ქვევრის შესახებ ცნობას გვაწვდის ცნობილი სპავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნინო ნაკაშიძე: „1906 წელი,თებერვალი იდგა წვიმდა,სახლი, რომლის აივნიდან დამსველი რაზმის ხელმძღვანელი ალიხანოვ - ავარსკი გადმომდგარიყო და შეკრებილ მოსახლეობას უბრძანებდა, დაეჩოქთ და ისე მოესმინათ ბრძანება, მალაქია გურიელს ეკუთნოდა. მე მაშინ გაზეთ,,ცნობის ფურცელის“ კორესპოდენტი ვიყავი და მის ბრძანებას მალაქია გურიელის სახლის ღობესთან ჩაცუცქული ყურს კუდდები. მალაქიას სახლს შეუნახავს თავისი სახე, მაგრამ მარცხნივ კი არაფერი იყო, მის პირდაპირ იდგა ლეკან გურიელის ორსართულიანი, ძველი ქვითკირის „პალატიანი“ ოდა და ასკოკიანი ჭურრი (ქვევრი), რომელიც სახლის გვერდით ფარდულის ქვეშ იყო აღმოჩენილი და გვამცობდა, რამდენ ღვინოს სვამდნენ სასახლეში. სადაც ისე გურიელის სახლი იდგა, მისი სიკვდილის შემდეგ პოლიციის დაწესებულებები იყო გამართული. ახლა ამ ადილას კინოს მშვენიერი შენობა, ქალაქის ორსართულიანი შენობებია,აქეთ კიდევ თაყაიშვილის ნასახლარი იყო“.

ცნობისათვის, ნინო ნაკაშიძე ოზურგეთზე თავის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს 1906, 1924 და 1952 წლების მდგომარეობით (დღეს კინოს შენობა უცვლელია, ისევ დგას ფოსტის ორსართულიანი შენობა, რომელშივ ისევროგორც ქალაქის ორსათთულიან შენობაში,სხვადასხვა დაწესებულებებია განთავსებული.

ზემოთ აღნიშნული ასკოკიანი ჭურის შესახებ 1888 წლის გაზეთი „დროება“ აქვეყნებდა შემდეგ პუბლიკაციას: „ლ. შეკარდნაძის სახლის ქვეშ აღმოუჩენიათ გურიის მთავრის ნამარნევში ნამყოფი ერთი უშვეულებელი ქვევრი, რომელიც საგანგებოდ გაუკეთებიათ საღმრთო საწირავის საჭურჭლედ,ეს ქვევრი ყოფილა, როგორც ზებირი გადმოცემა ამბობს, წლის სათვალავი, ესე იგი, სამას სამოცდახუთი საწყავი ღვინო ისხმებოდა შიგ (საწყავი არის ზომა ღვინისა, სამი თუ ოთხი ბათმანი - ნახევარი ფუთამდე.) ეს ქვევრი ხელოვნურად შემოკირული და გაკეთებულია. არავის ახსოვს,როდის გაკეთებულა და ჩადგმულა. თავადმა გრიგოლ გურიელმა მოანდომა ამ ქვევრის გატანა და სამ-ოთხი დღე ათხრევინა მიწა ორმოცამდე მუშას, ამოსაღებად მიიწვია ადგილობრივი კამანდის 200 კაცი, სალდათები და ძლივძლივობით ამოიღეს. თავად გრიგოლს ამ ქვევრის გადმოტანა ორ ქცევაზედ დაუჯდა 200 მანეთი ფული. ამბობენ, როცა მამია გურიელი საღმრთოს იქმდა,ერთ ორ ვერსტზე (1,06 კმ) სუფრა იყო გამართული და უკანასკნელი !0 000 სულამდის ამ ჭურიდან სვამდა ღვინოს.ასე რომ,ერთი მეღვინე მეორეს მაწოდებდა და ამ ქვევრიდან ამოღებული ღვინოს და ისე ხელის ხელ აძლევდნო,მაგრამ ქვევრს მანც ბევრი არ აკლდებოდა რაო“(გაზეთი „დროება“ 263 1888წ.).

ცნობილ ეთნოგრაფი აპოლონ წულაძე წერვა საღმრთოს ასე განმარტავს:„ეს იცოდნენ ნაახალწლევს, უფრო ხშირად დაკლავდნენ ღორს ან მოზრდილ გოჭს,რასაც წირვის შემდეგ დააკურთხებდა მღვდელი. ნაკვერჩხალს დაყრიდნენ თიხის ჭურჭლის ნამტვრევებზე და ზედ საკმეველს დადებდნენ. ყველა,ვინც იქ იყო, ღმერთს თხოვდა ოჯახისათვის მშვიდობის წელიწადს. შემდეგ იწყებოდა სადილი და ერთმანეთის დალოცვა. (ა.წულაძე,,ეთნოგრაფიული გურა“).

„უნდა აღვნიშნოთ, რომ გურიელის ნამარნევში აღმოჩენილი ასკოკიანი ქვევრი ერთადერთი არ ყოფილა გურიაში აღმოჩენილი ქვევრებიდან. ქვევრის უმრავი რაოდენობა აღმოჩენილია ვაშნარის ნაქალაქარის გათხრების დროს (1949 წ.). ვაშნარი, მკითხველს მოეხსენება, გურიის ადრეფეოდალური ხანის ძეგლია და თარიღდება ახალი წელთაღრიცხვის IV-VIII საუკუნეებით. 2013 წელს ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გურიანთაში ცხოვრობდა მოქალაქე შაქრო კვაჭანტირაძე, რომელიც ფლობდა ინფორმაციას ვაშნარის ნაქალაქარის შესახებ. ჩვენ ვეწვივეთ ბატონ შოთას ოჯახში, ის მაშინ 85 წლის გახლდათ, კარგად გამოიყურებოდა და მეხსიერებაც კარგი ჰქონდა (ამჟამად ბატონი შაქრო გარდაცვლილია, ღმერთმა აცხონოს მისი სული). მან გვიამბო ბევრი საინტერესო რამ ჟურადღება მინდა გავამახვილო ვაშნარში აღმოჩენილ ქვევრებზე. ბატონმა შაქრომ მიამბო: „1949 წელს ფაბრიკის მშენებელმა ინჟინერმა ვალოდია ღოღობერიძემ გამოიყვანა სინათლე და მუშებს სამ ცვლაში ამუშავებდა (არქეოლოგი გერმანე გობეჯიშვილი უკვე გათხრებს აწარმოებდა, ამ პერიოდისათვის თბილისში იყო წასული და როცა დაბრუნდა,იქაურობა მასფალტებული დახვდა. მლ.). ყველა ნახევარ მეტრში 30-ფუთიანი ჭურები იყო დაფლული. მუშები ძირითადად სომხები იყვნენ, ისინი ქვებს ესროდნენ ჭურებს,ტეხდნენ და ამით ერთობოდნენ. ერთი ჭური ჩვენ სახლში წამოვიღეთ. დროთა განმავლობაში იგი დაზიანდა. გათხრების დროს აღმოჩენილი ქვის ფრაგმენტები თუ აგურები მოსახლობას მიჰქონდა და ზოგი ბუხარს აშენებდა ზოგი კიდევ რას, ჩვენც წამოვიღეთ ქვები და ბუხარი გავაკეთეთ,მაგრამ ახლა ეს ბუხარი არ არის... 1940 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდნენ გეოლოგები, რომლებიც სკურდუმისა და ნატანების შესართავთან ეძებდნენ რაღაცას. მათ აღმოაჩინეს 100- ფუთიანი ქვევრი,შემდეგ ექსპედიცია წავიდა ბახმაროში და მისი წევრები საყორნიას მთაზე დაიღუპნენ. მათი იარაღები - წერაქვები,ბარები,თოხები და სხვა მოსახლობას დაურიგეს.

გურიაში ქვევრს ჭურს ეძახიან. გურულს მარანში სხვადასხვა დანიშნულების -დასახელების ჭური ჰქონდა. ცნობილი ეთნოგრაფის და მოგზაურის აპონონ წულაძის ცნობით :„გურულისათვის ღვინო ყველაფერი იყო, გურული უღვინოდ არა თუ ოჯრას,არამედ ხეფსსაც არ მირთმევდა, გურულს თუ ღვინო ჭურში ეგულებოდა,სტუმარის არა თუ ეშინოდა,პირიქით ეძებდა კიდეც, ღვინო იყო მისი ოჯახის „მასახელებელი“, „ულვინობა - „მომჯაყველი“. ღვინის დასაყოლებელს ყველთვის იშოვნიდნენ. კი მასპინძლობა ჰქონდაო, რომ იტყოდნენ, ამას მეორე დაურთავდა: მასპინძელი რა შუაშია, ღვინო იყო კი მასპინძელიო.

გურულს „მონათლულობით“, ეი.ქრისტიანობით თავი მოსწონდა - ღვინო კი ქრისტიანობის ემბლემაც იყო. ქრისტიანს ღვინო უნდა დაელია და გურულის თქმით, ვინც ღვინოს არ სვამდა, უნათლავი იყო. ღვინო იყო ზედაშე და ზიარება, ორივე ქრისტიანობის ბურჯი . ვინმერომ გარდაიცვლებოდა-ჭირისუფალი თუ კარგ - ზედაშეს გააყოლებდა ,მიცვალებული „ცხონდებოდა“,კი ზედაშე გაყვა, იტყოდნენ. ამიტომ ზედაშეს მოყვარული გურული თავის სადემაზე ღვინოს სიცოცხლეში იმარაგებდა - ჩემს ტირილზე დასარეკეთო,ანდერძს ტოვებდა... ძველ გურულს ჭურები მარანში განკუთვნილი, გაპიროვნებული და დაგეგმილი ჰქონდა- იცოდა,რომელი ჭური როდის მოეხადა (მოეთხარა)

საივრო ჭურში ყოველდღიურად სახარეკო ,ულუფის,სუფრის ღვინო ჰქონდა.

საკალანდოს ახალ წელს მოხდიდა მხოლოდ, უნდა ყოფილიყო საუკეთესო, „თეთრად გამოღებული“ ღვინო, მაგარი-ცეცხლი უნდა შეყოლოდა.

სადედაღვთისოს 8 სექტემბერს (ძ.სტილი მლ.)-ღთისმშობლობასმოხდიდა. საღმრთო-საუფლისწულო დღესასწაულებში იხარეკებოდა. საეტლოს-საეტლო წირვის დროს მოხდიდა. ყველა ოჯახის წევრს უნდა გადაეხადა ეს წირვა სიცოცხლეში ერთხელ. ამისთვის მას თავზე შემოატარებდნენ ცხვარს, რომელიც უნდა დაეკლათ. ვინც ამას შეასრულებდა„ეტლმოხდილი“ იყო. „ეტლმოუხდელი“ კი შეიძლება რაიმე ავადმყოფობით ან მარცხით მომკდარიყო. იყო საუცოდინარო ჭურიც, ფანატიკოსი მორწმუნე ხუცესს აწირვინებდა და ღმერთს სთხოვდა ყველა ის ცოდვა შემინდეო,რაც ჩამდენია და არ ვიცი - ჩემი უცოდინარობით მომივდაო.

საგიორგობო, საფერისცვალებო, სამთავარანგელოზო,საღვთისმშობლო ან სხვა ჭური ატარებდა იმ წმინდანის სახელს, რასაც ატარებდა ის ეკლესია, რომლის მრევლიც იყო ჭურის პატრონი.

როგორც საკურთხეველში ეკრძალებოდა ქალს შესვლა, ასევე ეკრძალებოდა მას მარანზე მისვლა და ჭურიდან ღვინის ამოღება. თუ მასპინძელი კაცი შინ არ იყო, ან უკაცო ოჯახი გახლდათ, მაშინ მეზობელს სთხოვდნენ ღვინის ამოღებას. მარანს მუდამ სიწმინდით უვლიდნენ... შემთხვევით ჭურის თავზე, ღორს რომ გაევლო,ხუცესს მოიყვანდნენ და აიაზმას (ნაკურთხი წყალი) მასხურებდნენ. ღვინოს იღებდნენ სიწმინდითა და სასოებით, კრძალვით და რიდით. ცხადია, პირველი ჭიქით ყოველთვის ღმერთი უნდა ეხსნებინათ. გურული ღვინის კულტის ფანატიკური მიმდევარი იყო და ყოველ ჟამს ცდილობდ,ა ღვინის ღმერთი მადლიერი ჰყოლოდა ეს მისი პატივისცემა სიმღერითაც გამოხატა. ეს სიმღერა არის „აგიდელა“ და„ აგუნა“. „აგიდელა“ რთველის,შრომის სიმღერაა,აგუნა კი - საახალწლო და ღვინის დედის - ყურძნის-საუხვის“(აპოლონ წულაძე „ეთნოგრაფიული გურია“გვ.50-51).

მანანა ლიმბაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

ქალაქი ოზურგეთი

სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8,11,15-28

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი



დიმიტრი გურიელის სასახლე

ქალაქ ოზურგეთის მდივანბეგთა სიმონ გუგუნავასა და გიორგი ერისთავის განიჩინებანი „დაწერილია მოკლედ და საკმაოდ მკაფიოდ. ერთი და იგივე ოქმი ხშირად შეიცავს რამდენიმე საჩივარს, მაგრამ მხოლოდ ერთ და იმავე ოქმთა (შორის) იშვიათი როდია, როცა მოსარჩლე მოპასუხედ იქცევა... მოპასუხე ახსნა-განმარტებას იძლევა სარჩელის წინააღმდეგ და შემდეგ მოსარჩელეს უყენებს შეგებებულ სარჩელს, და მსაჯულს უხდება ერთი და იგივე მოდავე ერთ საკითხში გაამართლოს, ხოლო მეორეში გაამტყუნოს. ოქმების ? თითქმის ყოველთვის ერთი და იგივეა.

მტკიცების საფუძველი გურიაში, ისე როგორც მთელ საქართველოში იყო თვით მოდავეთა ან მოწმეთა ჩვენება. ყოვლად უმნიშვნელო საქმის გარჩევისას არ მიმართავდნენ მდივანბეგებს. საკითხის არსის გარკვევა თითქმის ყოველთვის მოწმეებს ეკისრებოდათ. მათი რიცხვი სხვადასხვა იყო: ერთი მოწმიდან რვა მოწმემდე. ზოგჯერ დავის მნიშვნელობის კვალობაზე 12, 14 ან 48 მოწმეც იყო.

სასამართლოს დადგენილებით მოწმეებს მეტწილად ასახელებდა მოპასუხე, თავის ხეობიდან ან გარეშე პირებიდან... იესეც მოხდებოდა, რომ მოსარჩელე კისრულობდა მოპასუხისათვის დაესახელებინა გარკვეული რაოდენობის კეთილსინდისიერი მოწმე. მათგან მოპასუხეს უნდა დაემოწმებინა, უნდა ამოერჩია გარკვეული რაოდენობა, . . .

რაც შეეხება თვით საქმის არსს, ოზურგეთის მდივანბეგთა ოქმებში გარჩეული დავა, ზოგი სამოქალაქოა, ზოგი სისხლის სამართლისა, კერძოდ: სარჩელი სესხის, ანდერძის, უძრავი ქონების, საკუთრების ან მფლობელობის, ზარალის მიყენების, შეურაცხყოფის, დაჭრის, მკვლელობის და სხვათა თაობაზე, მათგან განჩინებათა უმეტესობა ზარალის მიყენებას ეხება.

მოსარჩელეები და მოპასუხეები, მეტწილად გლეხები და წვრილი აზნაურნი არიან; მხოლოდ ორ სამჯერ გამოჩნდებიან სასამართლოში უმაღლეს, საერო და სამრვდელო პირები.

ოზურგეთის მდივანბეგთა ოქმებში ცხადად დასტურდება ის ფაქტიც, რომ ტყვეთა გაყიდვაში საჯაროდ მხილებულთ ცოცხლად წვავდნენ კოცონზე, რათა ამ სასტიკი სასჯელით შიშის ზარი დაეცათ სხვათათვის და ქვეყანა გადაერჩინათ სრული დაცლისა და განადგურებისაგან.

მადლობა

ამ ცოტა ხნის წინათ დიაგნოზით თავის ტვინის ინფარქტი (არტეზიული ჰიპერტენზია) მომა-თავსეს ოზურგეთის კლინიკა „ავერსში“.

თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა, მადლობა გადავუხადო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, ბატონ **ირაკლი სირაძეს** და კლინიკის ნევროპათოლოგს, ქალბატონ **ქეთევან ცირეკიძეს**, რომლებმაც სიცოცხლე შემინარჩუნეს.

ბონდო უფლისაშვილი,
ქ. ოზურგეთი, წმ. გიორგის 45.

„შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში“

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის საექსპოზიციო დარბაზში ცენტრის შემოქმედებითი სტუდია-სახელოსნო „**Gurian-ART**“-ის პროექტის „შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში” პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც გურიის ფართო საზოგადოება დაესწრო.

აღნიშნულ პროექტში მონაწილე მხატვრებმა- ავთანდილ თავართქილაძემ, ვახტანგ მეგრე-

ლიშვილმა, თამაზ დარჩიამ, გია გვიჩიამ, ეკატერინე ოსტროვსკიმ, ირაკლი თოიძემ და აზერბაიჯანელმა შაჰნაზ აგაევამ საინტერესო გრაფიკული კომპოზიციები წარმოადგინეს.

პროექტის მიზანია შემოქმედებითი თანამშრომლობა ცენტრსა და მოწვეულ ხელოვანთა შორის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მკვიდრი და უცხოელი მხატვრების ერთიან შემოქმედებით პროცესში ჩართვა. მათთვის მიმზიდველი, თავისუფალი, სამუშაო სივრცის ახალ გარემოში შექმნა.

შემოქმედებითი სტუდია-სახელოსნო „**Gurian-ART**“-ი აღნიშნულ პროექტს უკვე მესამე წელია ახორციელებს.

ვახტანგ მეგრელიშვილი, (გრაფიკა, ფერწერა, თბილისი): –სიახლეები და ექსპერიმენტები მნიშვნელოვანია ხელოვნებისათვის ზოგადად. ახალ ტექნოლოგიებით ახლის ძიება და ახალ შედეგებზე გადასვლა უპირველესი ამოცანაა შემოქმედისათვის. ოზურგეთის სამხატვრო გალერეა ყოველთვის მზადაა ამ ექსპერიმენტისათვის.

შაჰნაზ აგაევა (გრაფიკა, ბაქო): –შემოქმედებითმა მივლინებამ, რომელიც 10 დღე გაგრძელდა, ძალიან პროგრესულად და დადებითად იმოქმედა ჩემზე, როგორც მხატვარ-გრაფიკოსზეგალერეის თბილმა და მეგობრულმა გარემომ კიდევ უფრო გაალამაზა შემოქმედებითი პროცესი და დამიტოვა ყველაზე თბილი განცდა გურულების მიმართ.

ავთანდილ თავართქილაძე, (დაზგური გრაფიკა, დიზაინი):- ხელოვანისათვის ბედნიერებაა შემოქმედებითი თვითრეალიზაცია. შემოქმედებითი სტუდია-სახელოსნო **GURIAN-ART** არის და იქნება ცოცხალი ორგანიზმი ოზურგეთის კულტურულ სივრცეში.

თამაზ დარჩია, (გრაფიკა, სცენოგრაფია, დიზაინი): –ოზურგეთის შემოქმედებითმა სახელოსნომ **GURIAN-ART** მესამე წელია გაშალა ფრთები, და ეს ამ გაშლილი ფრთებით მთელი მსოფლიო გაეცნობინოს.

გია გვიჩია, (გრაფიკა, ფოთი): –თითქმის ოცდაათი წელია, რაც გურიაში გალერეასთან არსებულ შემოქმედებით სტუდია-სახელოსნოში გიგიზებს შემოქმედებითი ბუხარი, რომელიც იძლევა სითბოს, სინათლეს და მის გარშემო აერთიანებს ხელოვან ადამიანებს.

ეკატერინე ოსტროვსკი (მხატვარი-მონუმენტალისტი): –ეს შემოქმედებითი სტუდია ამ მოკლე ხანში ჩემთვის სახლად იქცა, ადგილად, სადაც გიხარია მისვლა, სადაც მეგობრული და თბილი ადამიანები გვხდებიან.

ირაკლი თოიძე (გრაფიკა, დიზაინი, თბილისი):–მიხარია, რომ ამ პროექტის მონაწილე გავხდი. განსაკუთრებით სასიამოვნოა აქ, ამ საინტერესო საქმის კეთება.

მადლობები და კრიტიკული რეპლიკები ფესტივალის დამთავრების შემდეგ

ალიონი. გასულ პარასკევს, 20 ივლისს ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული დრამატული თეატრისა და ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატმა ვასილ ჩიგოგიძემ ადგილობრივი მედია საშუალებებისთვის პრესკონფერენცია გამართა.

ჩიგოგიძემ ჟურნალისტებთან ვრცლად ისაუბრა თეატრის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, შეაფასა ახლახან დამთავრებული ნოდარ დუმბაძის სახელობის მეორე საერთაშორისო ფესტივალი.

ფესტივალის სულის ჩამდგმელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა კულტურის სამინისტროს, მხარის ხელმძღვანელობას, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების, ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებლის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, წარმოება-ორგანიზაციებს

ფესტივალის მაღალ დონეზე ჩასატარებლად გაწეული ფინანსური თუ სხვა სახის დახმარებისათვის. მანვე კრიტიკული რეპლიკით მოიხსენია ის ორგანიზაციები, რომლებმაც უარი თქვეს ფესტივალის სპონსორობაზე.

ვრცელ მასალას პრესკონფერენციაზე გაჟღერებული ამ და თემების შესახებ გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

სამეგრელო – შთაბეჭდილებით აღსავსე ექსკურსია

ეკოკლუბი **Nature’’**- ს წევრებმა მე-5 კლასის მოსწავლეებთან ერთად ამჯერად „აღმოაჩინე საქართველოს’’ აქტივობის განსახორციელებლად „**forestru.ge**-ს რუკაზე შემოთავაზებული მარშრუტის გასავლელად სამეგრელოს დასალაშქრად გაემგზავრნენ, წინასწარ მოიძიეს ინფორმაცია მარშრუტში შემავალი ღირსშესანიშნეობების შესახებ, მარშრუტის სახეობა იყო: სათავგადასავლო, შემეცნებითი. მარშრუტი: ოზურგეთი-მარტვილი- ზუგდიდი-დადიანების სასახლე, გზადაგზა კი საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ბუნების საოცარი ხედები და ფლორა. სამეგრელო დასავლეთ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიული მხარეა, მდინარე რიონის, ცხენისწყლის, ენგურსა და შავ ზღვას შორის მოქცეული, სახელწოდება მომდინარეობს ისტორიული მხარის ეგრისის სახელიდან, სამეგრელო ხომ მდიდარია ნივთიერი კულტურის ძეგლებით, ყველა რაიონში დაცულია ციხე კოშკები და მონასტრები. შთაბეჭდილებით აღსავსე მოგზაურობა ულამაზესი მარტვილის კანიონებით დაიწყეს, მარტვილის კანიონი ხომ ბუნების საოცარი ძეგლია, რომელიც გაჭრილ ხეობაში შედის რომლის სიგრძე 2400მეტრია. ბავშვებმა ნავებით გაისეირნეს, დატკბნენ მცირე ჩანჩქერების სილამაზით, დაათვალიერეს დადიანების საბანაო ადგილები. მარტვილის დაცულ ტერიტორიაზე დაინტერესდნენ გავრცელებული მცენარეებით. სამეგრელოში მოგზაურობისას როგორ შეიძლება ზუგდიდში არ ჩახვიდე და დადიანების სასახლე – სამეგრელოს მთავრების რეზიდენცია არ მოინახულო, დიდი ინტერესი და ცნობისმოყვარეობა გამოიწვია ბავშვებში მუზეუმში დაცულმა ექსპონატებმა : ღვთისმშობლის კვართმა, ნაპოლეონ ბონაპარტის ნიღაბმა, შამილის ხმალმა მე-18 მე-20 საუკუნეების ევროპელი და ქართველი მხატვრების ფერწერულმა ნამუშევრებმა. დაათვალიერეს მუზეუმის გარშემო არსებული სამეგრელოს მთავარ დადიანის მიერ გაშენებული ტყე-პარკი, სადაც ხარობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი უნიკალური და მრავალწლოვანი ხეები და ბუჩქები. იმხიარულეს, გაერთვნენ გადაიღეს სამახსოვრო სურათები, ექსკურსია მშობელთა აქტიური ჩართულობით ჩატარდა, ექსკურსიას სპეციმასწავლებელი ირინე მაჭარაშვილი ხელმძღვანელობდა. ბავშვებისათვის ეს ეს დღე დაუვიწყარი და ლამაზი მოგონება იქნება.

ეკოკლუბის წევრები:
მარიამ ხოზრევანიძე
თაკო შავაძე
თაკო ებრალიძე

მადლობა მუნიციპალიტეტის მერიას

მადლობას ვუხდით ოზურგეთის მუნიციპალიტეტ მერიას, რომელმაც მუსიკალურ სკოლას საჩუქრად გადმოსცა გერმანული პიანინო „პეტროფი“

7 დღის ამინდის პროგნოზი

23 ივლისი ორშაბათი	24 ივლისი სამშაბათი	25 ივლისი ოთხშაბათი	26 ივლისი ხუთშაბათი	27 ივლისი- პარასკევი	28 ივლისი შაბათი	29 ივლისი კვირა
მცირე წვიმა +17+23	მზე ღრუბელი +19+26	მზე +21+32	მზე ღრუბელი +20+30	მზე ღრუბელი +19+24	მცირე წვიმა +19+25	ელ-ჭექი +20+25